



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 18 ივნისი

დისციპლინური საქმე №18/20-2
მოსამართლე ----- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

----- 2020 წლის 20 თებერვლის №18 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე ----- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ არასწორად ჩათვალა, რომ მხარეს (მოსარჩელეს) არ ჰქონდა გადახდილი ბაჟი სათანადო რაოდენობით და სრულიად უსამართლოდ უთხრა მას უარი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. მას შემდეგ, რაც მოსამართლემ შეიტყო სახელმწიფო ბაჟის სწორად გადახდის შესახებ, მან მხარეთა შეუტყობინებლად გაასწორა განჩინება.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

----- რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა 2016 წლის 08 სექტემბერს. სარჩელის ავტორი ითხოვდა მოპასუხეებისათვის მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვას. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -----.

----- სასამართლოს 2016 წლის 09 სექტემბრის განჩინებით სარჩელის ავტორს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. მოსამართლემ ჩათვალა, რომ სასარჩელო მოთხოვნა იყო ბუნდოვანი და საჭიროებდა დაზუსტებას. აღნიშნული განჩინება ----- 2016 წლის 26 სექტემბერს გაასაჩივრა კერძო საჩივრით. კერძო საჩივარში მხარე ასევე აღნიშნავდა, რომ მოსამართლეს არასწორად ჰქონდა გადაწყვეტილი სარჩელის ავტორისათვის სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების საკითხი.

2016 წლის 27 სექტემბრის განჩინებით (საკუთარი ინიციატივით) ----- სასამართლოს 2016 წლის 09 სექტემბრის განჩინებაში შეტანილ იქნა შესწორება, სარჩელის ავტორს, ----- დაუბრუნდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით.

----- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით ----- უარი ეთქვა კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე (განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება).

3. საჩივრის (საჩივრების) საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 75² მუხლის თანახმად, „მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან ამ გადაცდომაზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე გასულია 3 წელი, ხოლო მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან – 1 წელი.“

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას შესაბამისი ორგანო ან თანამდებობის პირი იღებს, თუ მოსამართლის მიმართ დისციპლინური პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების ვადა ამოიწურა.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი, ----- სადავოს ხდის მოსამართლის იმ განჩინების კანონიერებას/ქმედებას, რომლის მიღებიდან/განხორციელებიდან გასულია 3 წელზე მეტი (იგულისხმება მოსამართლე ----- მიერ 2016 წლის 09 და 27 სექტემბერს მიღებული განჩინებები). ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში დაუშვებელია მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების (განჩინების) კანონიერების შეფასება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75² მუხლით, იმავე კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №18/20 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის (ხანდაზმულობის ვადის გასვლა) შესაბამისად, არსებობს მოსამართლე ----- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველი.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი